



**ქალთა მიმართ ძალადობასთან
სისტემური გამკლავების
ძირითადი ასპექტები**



სოციალური
სამართლიანობის
წევრი

ქალთა მიმართ ძალადობასთან სისტემური გამკლავების ძირითადი ასპექტები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2022



წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს “სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ პოზიციას და არ შეიძლება განიხილებოდეს სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) შეხედულებების ამსახველად.

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

მკვლევარი: ეკა წურწუმია

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე ¹

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ეკა წურწუმია, „ქალთა მიმართ ძალადობასთან სისტემური გამკლავების ძირითადი ასპექტები“, 2022

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

¹ ვიზუალის წყარო: <https://bit.ly/3TmY5Gf>

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ყოველ წელს იზრდება, მაგრამ მიუხედავად რაოდენობის ზრდის ტენდენციისა, კვლავ იკვეთება საქმის ისეთი გარემოებები, რომელიც სახელმწიფოს სუსტ პრევენციულ ღონისძიებებზე მიუთითებს და მისი პოზიტიური ვალდებულებების ვერ შესრულებას ადასტურებს, რაც რისკების სათანადო არშეფასებაში და მძიმე შედეგების თავიდან ვერ აცილებაში გამოიხატება. სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში მიუთითებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში არსებულ ხარვეზებზე, რაც ვლინდება როგორც გამოძიების, ასევე მართლმსაჯულების სხვა ეტაპებზეც. კვლავ გამოწვევად რჩება განმეორებითი ძალადობის თავიდან ვერ აცილება.² კრიტიკულად პრობლემურია ასევე ფემიციდის საქმეები, როდესაც შესწავლილ საქმეებს ერთვის პოლიციისადმი მიმართვის და მის საფუძველზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების გამოყენება და ამის მიუხედავად მძიმე შედეგის აცილება მაინც ვერ ხერხდება. სახალხო დამცველის ფემიციდის მონიტორინგის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით 23 ფემიციდის საქმიდან 8 საქმეზე გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი³, პრობლემატურია ასევე სასამართლოს უმოქმედობა, ვინაიდან გარკვეულ საქმეებში ვერ მოხერხდა მსჯავრდებულის იზოლირება იმ ვადით, რომელიც უზრუნველყოფდა მომავალში დანაშაულის თავიდან აცილებას. იზოლირების ვადაში კითხვის ნიშნის ქვეშ ექცევა მსჯავრდებულის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამის ეფექტურობის საკითხიც, რაც პრევენციის წინაპირობა უნდა იყოს. საქმეებში ვლინდება ასევე პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკაც, რასაც შემდგომში მკვლელობა მოჰყვა.⁴ დაახლოებით იგივე ტენდენციაა 2019 წლის სახალხო დამცველის ანგარიშშიც, სადაც ათი ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობის გაანალიზებული საქმის შემთხვევაში ძალადობის წინარე ისტორიის გამოკვლევისას ძალადობის შესახებ პოლიციისადმი მიმართვები იკვეთება 4 საქმეში⁵. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების უგულებელყოფას და მის ბრალს მძიმე შედეგის დადგომაში ადასტურებს საიას მიერ მოგებული სასამართლო დავები, სადაც სახელმწიფო ქალის სიცოცხლის მოსპობის გამო პასუხისმგებლად იქნა აღიარებული და ფემიციდის ჩადენის მიზეზად სწორად სახელმწიფოს უმოქმედობა დადგინდა.⁶ 7. მიმდინარე წელს საიას წარმოებაში თვითმკვლელობამდე მიყვანის არსებულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ აიცილა თვითმკვლელობამდე მიყვანა და მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე იმის გამო, რომ იგი ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით (სიცოცხლის უფლება) გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სტამბოლის კონვენციის, CEDAW-ს კომიტეტის ზოგად კომენტარებს და გვთავაზობს არგუმენტაციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული

² სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2021 წლის ანგარიშზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, გვ.16

<https://ombudsman.ge/res/docs/2022050510285580108.pdf>

³ ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022070609293527273.pdf>, გვ.25-27

⁴ იქვე, გვ.28-29

⁵ ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2021061415064722095.pdf>, გვ.20

⁶ ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/sakhelmtsifos-umoqmedoba-femicidis-chadenis-mizezad-iqca#sthash.ffOn2cUB.dpbs>

⁷ ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/shinagan-saqmeta-saministrosa-da-prokuraturas-femicidis-saqmeze-zianis-anazghaureba-daekisrat#sthash.imJzWHm.dpbs>

სამართლის სიღრმისეულ მიმოხილვაზე დაყრდნობით.⁸ 2021 წლის 8 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო პასუხისმგებლად ცნო 2014 წელს მომხდარი ფემიციდის გამო, ხოლო 2021 წლის 25 ოქტომბერს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე, სადაც ასევე დადგინდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ქალის მიმართ გენდერული ნიშნით და ღირსების სახელით ჩადენილი ძალადობის გამო, რამაც სიკვდილი გამოიწვია.⁹

წინამდებარე დოკუმენტში წარმოვადგენთ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის პოლიტიკების თეორიულ და მოდელურ კონცეფციებს და საქართველოში უკვე ჩატარებული კვლევების მიმოხილვისა და ჩვენს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის (25 ზე მეტი ინტერვიუ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთან) გზით, ქართული რეალობის აღწერას შევეცდებით.

დანაშაულის პრევენციის განმარტება და ძირითადი მიდგომები

დანაშაულის პრევენცია ფართო ცნებაა და გულისხმობს ისეთ ღონისძიებებს, მექანიზმებს და პროგრამებს, რომელიც მოიცავს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლას და მიმართულია დანაშაულის, როგორც საზოგადოებრივი ფენომენის, თუ ინდივიდუალური გამოვლინების თავიდან აცილებას, რისკების შემცირებას და მისი შედეგების შესუსტებისკენ მიმართული პოლიტიკების შემუშავებას. პრევენციის მთვარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღმოფხვრას დანაშაულის აქტი მის ჩადენამდე, ან შეაჩეროს დანაშაულის შემდგომი უფრო მძიმე განვითარების სცენარი. დანაშაულის ჩადენის მიზეზები სტრუქტურულია და ინდივიდუალურიც. ის გამომდინარეობს, როგორც არსებული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სისტემებიდან, ისე კონკრეტული ურთიერთობებისთვის და ადამიანებისთვის დამახსიათებელი ფსიქო-სოციალური ფაქტორებით. დანაშაულებთან გამკლავების და აღმოფხვრის გზებიც მრავალფეროვანი და კომპლექსური უნდა იყოს, სადაც გათვალისწინებული იქნება დანაშაულის ბუნება და ის გარემო მისი მრავალმხრივი განზომილებებით, რომელშიც ის წარმოიქმნება. სწორედ ამიტომ დანაშაულის პრევენცია განიხილება არა მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შემადგენელ ნაწილად, არამედ უფრო ფართო სფეროდ, სადაც სხვადასხვა ინსტიტუციები, სამოქალაქო აქტორები და საგანმანათლებლო დაწესებულებები სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პოლიტიკით დევიაციური და დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.¹⁰

გაეროს 2002/13 რეზოლუცია „დანაშაულის ეფექტური პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობის“ შესახებ დანაშაულის პრევენციის ცნებას განმარტავს სტრატეგიებისა და ღონისძიებების ერთობლიობად, რომელთა მიზანია დანაშაულის ჩადენისა და ცალკეულ პირებსა და საზოგადოებაზე დანაშაულის პოტენციური ზიანით გამოწვეული ზეგავლენის შემცირება წინასწარი ზომების მიღებით მისი მრავალწახნაგოვანი მიზეზების წინააღმდეგ“.¹¹

⁸ ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/post/tvitmkvlelobamde-miyvanis-femicidis-formis-saqmeze-uzenaesma-sasamartlom-mnishvnelovani-gadatsyvetileba-miigho-da-sakhelmtsifos-zianis-anazghaureba-daakisra#sthash.EcdCPncn.dpbs>

⁹ ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022050510285580108.pdf>, გვ.15

¹⁰ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები), გვ.15

¹¹ იქვე

„დანაშაულის პრევენციის ევროპული ქსელის“ სადამფუძნებლო დოკუმენტის (2009/902/JHA) თანახმად, დანაშაულის პრევენცია მოიცავს ყველა იმ ღონისძიებას, რომლის მიზანია მოქალაქეთა დაუცველობის გრძობისა და დანაშაულის წინააღმდეგ პირდაპირი აღმკვეთი ქმედებებით ან სტრატეგიებისა და ღონისძიებების მეშვეობით დანაშაულის აღბათობის შემცირება, დანაშაულის მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მოქმედებით ხორციელდება“.¹²

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2002/13 რეზოლუციის მიხედვით, დანაშაულის პრევენციისთვის სახელმწიფოთა მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს პრევენციის სოციალური განვითარების მიდგომას, სიტუაციურ პრევენციასა და რეინტეგრაციის პროგრამებს, ანუ მესამე დონის პრევენციას.¹³

დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ლიტერატურაში ვხვდებით დანაშაულის პრევენციის სამი დონის დეფინიციას: პირველადი დანაშაულის პრევენცია, მეორადი დანაშაულის პრევენცია და მესამე დონის პრევენცია.

პირველადი დანაშაულის პრევენცია

პირველადი დანაშაულის პრევენცია (ლიტერატურაში გვხვდება ასევე სოციალური მიდგომის სახელწოდებით) გულისხმობს დანაშაულის წარმოშობის მიზეზებთან ბრძოლას და ამით მისთვის დაბრკოლებების შექმნას. ხდება სოციუმის შესწავლა, რომელიც მიდრეკილია დანაშაულის ჩადენისკენ და დანაშაულის ჩადენის მიზეზების კვლევა და გამოვლინება. ის ფოკუსირდება დანაშაულის ჩადენის პირველადი რისკების ფაქტორებზე, რომელიც იწვევენ დანაშაულის ჩადენას და მისი წარმოშობის წყაროსთანავე საფრთხეების დაძლევის გულისხმობს. ის ძირითადად სოციალურ პროგრამებზეა ორიენტირებული და გულისხმობს მაგალითად უმუშევრობის, სიღარიბის აღმოფხვრას, ასევე სკოლებში საგანმანათლებლო მუშაობას, სპეციალური პროგრამების შემუშავებას სხვადასხვა სოციალური უნარ-ჩვევების განსავითარებლად და სხვა.

მეორადი დანაშაულის პრევენცია

მეორადი დანაშაულის პრევენცია (სიტუაციური მიდგომა) მიმართულია ადრეულ ეტაპზე პოტენციური დანაშაულის გამოვლენასა და ჩარევაზე დანაშაულის ჩადენამდე. ის მოიაზრებს დანაშაულებრივი სიტუაციების და კონკრეტული ჯგუფების ადრეულ იდენტიფიცირებას, როდესაც სამართალდამრღვევად, თუ მსხვერპლად ქცევის რისკი მაღალია. ასეთ მიდგომას დანაშაულის სიტუაციურ პრევენციასაც უწოდებენ და პირველადი დანაშაულის პრევენციისგან განსხვავებით უკვე წარმოშობილ დანაშაულებრივ ქმედებებს ებრძვის.

მესამე დონის პრევენცია

¹² ACTS ADOPTED UNDER TITLE VI OF THE EU TREATY

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32009D0902>

¹³ ECOSOC Resolution 2002/13 - Action to promote effective crime prevention

https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/resolution_2002-13.pdf

მესამე დონის პრევენცია დანაშაულის ჩადენის შემდეგ რეციდივის თავიდან აცილებას მოიაზრებს, კერძოდ, დამნაშავის რესოციალიზაციის და რეაბილიტაციის კუთხით.¹⁴

სასჯელის მიზანი, გარდა დამნაშავის დასჯისა, პირის რესოციალიზაცია, დანაშაულის უარყოფითი შედეგების გააზრება და მსხვერპლისათვის სამართლიანობის განცდის უზრუნველყოფაა. ავტორები აღნიშნავენ, რომ შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის პრევენციისთვის მხოლოდ ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი დევნის თუ მისთვის სასჯელის დამძიმების როლი დანაშაულის/ინციდენტის შედეგად გამოწვეული ემოციური, სოციალური და კულტურული ზიანის ანაზღაურებაში არსებითად უმნიშვნელოა; ამასთან, ის ვერც დამნაშავის/სამართალდამრღვევის წინასწარგანწყობის სრულ რღვევას უზრუნველყოფს. შესაბამისად, რადგანაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, სხვა ტიპის დანაშაულებსგან განსხვავებით, მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ გარემოსთან და მყარი კავშირი აქვს საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებთან, განსაკუთრებით, თუ ის ოჯახში ძალადობის ფორმას იღებს, მისი პრევენციისთვის ზემოაღწერილი სამივე მოდელის არსებობა თანაბარ მნიშვნელობას იძენს.¹⁵

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან გასამკლავებლად და მისი პრევენციისათვის გამოიყენება სხვადასხვა მიდგომები და პრაქტიკები. ერთ-ერთი წამყვანი და ხშირად გამოყენებადი არის *ეკოლოგიური* მიდგომა, რომელიც გულისხმობს ძალადობის გარემოს სხვადასხვა დონესთან სისტემური მიმართების გათვალისწინებას. ძირითადად ხდება ძალადობის ოთხ დონესთან მიმართების დადგენა, ესენია: *ინდივიდუალური, ურთიერთობითი, სათემო და სოციალური* დონეები. ინდივიდუალური დონე გულისხმობს ინდივიდუალური ფაქტორების ბიო-ფსიქოსოციალურ ერთობლიობას, როგორცაა პიროვნების გამოცდილება, ტრავმა, ბიოლოგიური ფაქტორები, ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებულება და ა.შ. ურთიერთობითი დონე გულისხმობს ისეთ ფაქტორებს საოჯახო და სათემო ურთიერთობებში, რომლებიც გავლენას ახდენენ ძალადობის წარმოქმნასა და აღმოფხვრაზე. სათემო დონე მოიცავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც სცილდება საოჯახო ურთიერთობებს და უკავშირდება სოციალურ ინტერაქციებს როგორცაა სკოლა, სამუშაო ადგილი და სამეზობლო. ხოლო სოციალური დონის ფაქტორები ეხება სოციალურ და კულტურულ ნორმებს, რომლებიც შეიძლება განაპირობებდეს ძალადობის მიღებას ან უარყოფას, ასევე სოციალურ სტრუქტურებს, ინსტიტუციონალურ პოლიტიკებს და პრაქტიკებს, რომელიც განაპირობებს ან პრევენციას უკეთებს ძალადობისადმი დამოკიდებულებას და მის აღქმას. ეკოლოგიური მიდგომა თავისი არსით ხაზს უსვავს მულტიდისციპლინარული კოლაბორაციის მნიშვნელობას, რათა პრევენციულ პოლიტიკას ჰქონდეს ჰოლისტიური ეფექტი ძალადობის გამომწვევ ყველა კონტექსტულურ მიზეზზე. ეკოლოგიური მიდგომა გვეხმარება უკეთ გავიაზროთ ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის გამომწვევი მიზეზები და რისკები. ამ გზით ძალადობის პრევენციის პროცესი გულისხმობს ოთხ საფეხურს, პირველი: პრობლემის სიდიდის (ჩარჩოს) განსაზღვრა, მეორე: ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების იდენტიფიკაცია, მესამე: ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პოტენციური პრევენციის გზების შეფასება და მეოთხე, ცოდნის ფართოდ გაზიარება. ფემიციდის პრევენციის ინიციატივების

¹⁴ Lab, S. Crime Prevention, approaches, practices and evaluations, ninth edition, 2016, New York: Routledge, გვ.40-42

¹⁵ EMC, ლ.ჯალაღანია, ქ.ჭუთლაშვილი, ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, 2018, გვ.47

შემუშავებისას სხვადასხვა ეკოლოგიურ დონეზე არსებული დამცავი და რისკ ფაქტორების იდენტიფიკაცია და მათი ურთიერთმიმართების დადგენა ასრულებს გზამკვლევის როლს.¹⁶

ფართოდ გავრცელებულია ასევე ფემიციდთან მიმართებით **კულტურული** პერსპექტივის მოდელის გამოყენება. განსახილველად პირველ რიგში უნდა განვმარტოთ თუ რას გულისხმობს ფემიციდი. მასში მოაზრებულია, რომ მკვლელობა კაცების მიერ მოხდა იმის გამო, რომ მსხვეპრლები იყვნენ ქალები. ეს მოიცავს პარტნიორის მიერ ქალის მკვლელობას, ასევე ღირსების სახელით ჩადენილ ქალის მკვლელობას, თვითმკვლელობამდე მიყვანას და აშ. ფემიციდის კულტურული პრიზმიდან გაგება გულისხმობს მისი სფეციფიური ბუნების გაანალიზებას, მაგალითად ღირსების სახელით ჩადენილი ქალის მკვლელობის შეემთხვევაში რა როლს თამაშობდა განქორწინება, ღალატი, სექსუალური იდენტობა, თუ სხვა კონფლიქტური სიტუაცია. სოციო-კულტურული ფაქტორების არასწორად გაგება ხელს უშლის ფემიციდის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას და მნიშვნელოვანია მსხვერპლებთან მუშაობისას კულტურული ასპექტის გათვალისწინება, ასევე სასამართლოში საქმეების განხილვისას და კარგი პრაქტიკის დამკვიდრება მოსამართლეების მიერ. კულტურული კონტექსტი მნიშვნელოვანია ფემიციდსა და ისეთ სოციალურ პრობლემატიკასთან მიმართების დასადგენად როგორცაა პარტიარქატი, ქალის და ღირსების როლი. ის გვადლევს საშუალებას სიღრმისეულად გავიაზროთ და რეაგირება მოვახდინოთ ფემიციდზე რამაც ცენტრალური როლი შეასრულოს ეფექტური პრევენციის პოლიტიკის შემუშავებაში ყველა დონეზე. ინტერვენციები უნდა იყოს დაგეგმილი სხვადასხვა სოციო-კულტურული ჯგუფების სპეციფიკების გათვალისწინებით.¹⁷

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით **ადამიანის უფლებებზე** დაფუძნებული მიდგომის მიხედვით ქალებს და სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებს აქვთ უფლება იცხოვრონ ადეკვატური სტანდარტების მიხედვით, ჰქონდეთ უფლება გამოხატონ საკუთარი თავი დაბრკოლებების გარეშე. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა მიზნად ისახავს პრობლემის სათავეებში ჩასვლას და პერმანენტულად პრობლემის გადაწყვეტას დროებითი ინტერვენციის ნაცვლად და რესურსების სამართლიანი გადანაწილების სტრატეგიის შემუშავების გზით. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იქნას ინდივიდების უნიკალური გარემოებები, პატივი სცეს მათ განსხვავებულობას და გააძლიეროს ინდივიდები მულტიკულტურული პრინციპის გამოყენებით. ერთ-ერთი პრაქტიკა, რომელიც ეყრდნობა უფლებებზე დაფუძნებულ პრინციპებს არის ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული სოციალური სამუშაოს მიდგომა, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური მუშაკების როლის გაძლიერებით. იგი ფოკუსირებას ახდენს ჩაგვრულ ინდივიდებზე, ხაზს უსვამს ჩაგვრას და მიზნად ისახავს გაანთავისუფლოს ინდივიდები მოწყვლადობისაგან და ხელი შეუწყოს მათ კეთილდღეობას სოციალური სამართლიანობის და ადამიანის უფლებების პრონციპების ჩარჩოში. მულტიკულტურული სოციალური სამუშაო ეფუძნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საფუძველში არსებული უთანასწორობის, დამკვიდრებული ცრურწმენების როგორებიცაა სექსიზმთან, ჰომოფობიასთან გამკლავებას და მულტიკულტურული პერსპექტივის გავრცელებას მთელს საზოგადოებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლისას პოლიციის, სასამართლო სისტემის, მედიის და განათლების სისტემასთან ერთად სრულყოფილად ჩართულები იყვნენ სოციალური მუშაკები. აღნიშნულ

¹⁶ Preventing femicide, *Canadian Femicide Observatory for Justice and Accountability*
<https://www.femicideincanada.ca/preventing>

¹⁷ Weil S, Corradi C, Naudi M, (2018), Femicide across Europe, Theory, research and prevention, Bristol University Press.

პროცესში სოციალური მუშაკები უნდა იღებდნენ ადამიანის უფლებებზე და მულტიკულტურალიზმზე დაფუძნებულ განათლებას.¹⁸

დანაშაულის პრევენციის საერთაშორისო ცენტრის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ამბობს, რომ მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნას სახელმწიფოს შემოსავლიანობა, რეგიონული მახასიათებლები, ასევე მისი კულტურული, სოციალური და პოლიტიკური გარემოებები და ჩამოთვლილი მოცემულობებით ლოკალური კონტექსტის გათვალისწინებას კარგი პრაქტიკის დანერგვის და მისი აღსრულების გზით. ამიტომ ის საჭიროებს როგორც ჩამოთვლილი მახასიათებლების შესწავლას და შეფასებას, ასევე კვლევებზე დაფუძნებული სამუშაოების წარმოებას. გაეროს დანაშაულის პრევენციის გაიდლაინის მიხედვით გამოყოფილია დანაშაულის პრევენციის ოთხი ძირითადი დონე. დანაშაულის პრევენცია *სოციალური განვითარების დონეზე* გულისხმობს სოციალური, საგანმანათლებლო, ჯანდაცვის სერვისებს და ტრენინგ პროგრამებს (მაგალითად ისეთ ტრენინგებს, რომლებიც ეხმარება რისკ-ჯგუფში მყოფ ბავშვებს და მათი ოჯახებს). *სათემო, ან ადგილობრივი პრევენციის დონე* მიზნად ისახავს ისეთ არეალში მუშაობას, სადაც ვიქტიმიზაციის რისკები მაღალია, რაც გამოიხატება სახელმწიფო სერვისების, ინფრასტრუქტურის და სხვა სიკეთეების ნაკლებობაში და თემის გაუცხოებაში. მიზნის მისაღწევად ხდება სერვისების, სოციალური კაპიტალის და სოციალური სტრუქტურის გაძლიერება, რაც გულისხმობს სოციალური ურთიერთობების, ფასეულობების და ნდობის შენების პროცესს თემში. მესამე დონე არის *სიტუაციური დანაშაულის პრევენცია*, რომლის მიზანია შეამციროს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობები. აქ აქცენტი კეთდება პოტენციური დამნაშავეებისთვის სირთულეების შექმნით დანაშაულის ჩასადენად, მაგალითად უსაფრთხოების ზომების გაძლიერებით და სხვა. მეოთხე დონე გულისხმობს *რეინტეგრაციის პროგრამებს* და უკვე დანაშაულის ჩამდენ პირებთან მუშაობას რეციდივის თავიდან აცილების მიზნით მათი განათლების დონის აწევით, დასაქმებით და გრძელვადიანი მხარდაჭერით.

განხილული დონეებიდან ყველას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად სოციალური განვითარების დონეზე მიდგომებს შეიძლება მრავალი წელი დასჭირდეს შედეგების მისაღწევად. ადგილობრივი სათემო დონის მიდგომები საჭიროებს დიდ მოთვინებას, მოქალაქეების პროექტებში ჩართვის და შედეგებზე გასვლის სირთულეებიდან გამომდინარე. სიტუაციური პრევენციის სტრატეგიების დონეს ხშირად აკრიტიკებენ უსაფრთხოებაზე არათანაბარი წვდომის გამო და დანაშაულის სოციალური და ეკონომიკური მიზეზების უგულვებლყოფის გამო. ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა დონე იყოს ერთიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი.¹⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ასევე პრევენციის პირველად, მეორად და მესამეულ მიდგომებს. პირველად პრევენციაში იგულისხმება ისეთი პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ ფართო მოსახლეობასთან მუშაობას, რომლებსაც არ ჰქონია შეხება კრიმინალურ სისტემასთან. მეორადი სტრატეგია მიზნად ისახავს სოციალური, საგანმანათლებლო და სასამართლო სისტემის მიერ იდენტიფიცირებულ რისკ-ჯგუფებთან მუშაობას. მესამეული პრევენცია მუშაობს იმ ინდივიდებთან, რომლებიც იმყოფებიან სასჯელაღსრულების სისტემაში, ან უბრუნდებიან საზოგადოებას. მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი

¹⁸ Seçgin, L. (2021). The Importance of Multiculturalist Social Work Practices in the Prevention of Hate, te. İnsan ve Sosyal Bilimler Dergisi, 4 (2), 362-374.

¹⁹ United Nations, Handbook on the Crime Prevention Guidelines Making them work, 2010, გვ.9-27

დონეზზე მუშაობა მიმდინარეობდეს როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო დონეზე, მედიის და კერძო სექტორის ჩართულობით და ურთიერთთანამშრომლობით.²⁰

საქართველოში არსებული გამოწვევები

საქართველომ არა ერთი საერთაშორისო კონვენციის და ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა, რითაც აიღო ვალდებულება სიმულვილით მოტივირებულ დანაშაულების პრევენციასთან მიმართებით ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) თანახმად, რომლის მესამე თავიც პრევენციას ეთმობა სრულად, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისათვის მოცემულია მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელიც ეხება უთანასწორობის აღმოფხვრას, ცნობიერების ამაღლებას, განათლების მიღების მნიშვნელობას, პროფესიულ გადამზადებას, მოძალადებისათვის ქცევის კორექციის პროგრამების შემუშავებას მსხვერპლების ინტერესების დაცვით, ასევე მედიასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით გარკვეული სტანდარტების შექმნას და ქალთა ეკონომიკურ გამდიერებას.²¹

რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის N7 რეკომენდაცია მოიცავს ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარების მნიშვნელობას დისკრიმინაციული ნიშნით დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. რეკომენდაცია ითვალისწინებს როგორც შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას, ასევე დანაშაულებზე ეფექტურ რეაგირებას და პრევენციული ღონისძიებების გატარებას მათ აღსაკვეთად.²²

პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (BPfa) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაატარონ ყველა საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პროცედურული მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად.²³

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) 2002/13 რეზოლუციის 44 მიხედვით, დანაშაულის პრევენციისთვის სახელმწიფოთა მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს პრევენციის სოციალური განვითარების მიდგომას, სიტუაციურ პრევენციასა და რეინტეგრაციის პროგრამებს, ანუ მესამე ღონის პრევენციას.²⁴

ნიშანდობლივია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს პრევენციულ პოლიტიკას: „პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან

²⁰ იქვე

²¹ Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence <https://rm.coe.int/coe-convention-on-preventing-and-combating-violence-against-women-and-/16809e40c8>

²² ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042914325589379.pdf>

²³ ხელმისაწვდომია: <https://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf>, გვ.51

²⁴ ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/Domestic-violence-based-on-SOGI-final-2018_1544786801.pdf, გვ.45

აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ.“ ნორმის დისპოზიციიდან აშკარაა, რომ ის მოიცავს ზემოაღწერილი დანაშაულის პრევენციის სამივე დონეს, შესაბამისად, მისი მნიშვნელობა საკანონმდებლო დონეზე აღიარებულია, თუმცა პრაქტიკაში არსებითი გამოწვევები არსებობს, რომელიც ფაქტობრივად გამორიცხავს პრევენციის ორ მნიშვნელოვან ასპექტს – სოციალურ და რეინტეგრაციის ფორმით განსახორციელებელ პრევენციას. დანაშაულის პრევენციის მხოლოდ სიტუაციურად მოგვარების მცდელობით და მასთან ბრძოლის პროცესში სასჯელის მთავარ მექანიზმად გამოყენებით, სახელმწიფო პრევენციულ მექანიზმს დამნაშავეს უპირისპირებს და არა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს.²⁵

საქართველოს კანონმდებლობამ ქალების და ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. აღნიშნული ცვლილებების მთავარი მოტივატორი საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება და მის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებები იყო. ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებდა გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ადამიანების უფლებების დაცვას.²⁶ ასოცირების შეთანხმების ნაწილი იყო 2017 წლის ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ და 2014 წელს მიღებული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, რომლის აღსრულების მექანიზმი 2019 წელს შესული ცვლილებით გამყარდა და გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირებზე საჯარო უწყებების მსგავსი სამართლებრივი რეგულირებით გავრცელდა და ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ. ამასთანავე, სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, სახალხო დამცველი „უფლებამოსილია, როგორც მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს“. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებების შემდეგ, კერძო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა - ფიზიკური პირების და კერძო სექტორის მიმართ გაცემული რეკომენდაციების/ზოგადი წინადადებების 36% გაიზიარეს მოპასუხებმა. საჯარო სექტორის მიერ შესრულების/გაზიარების მაჩვენებელი კი 50%-ია.²⁷

უნდა აღინიშნოს ასევე 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა ქალთა და ლგბტ ადამიანთა უფლებები სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ქალთა უფლებების დაცვისა და გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება და პრევენციის კუთხით მსჯავრდებულ პირთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების გაძლიერება.²⁸ ასევე

²⁵ იქვე

²⁶ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება

²⁷ სახალხო დამცველი, 2021 <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-05/2022042914343766642.pdf>, გვ.15

²⁸ 2018-2020 წლის ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმა

განათლების სამიანისტროს მიერ თანასწორობაზე დაფუძნებული ელემენტების ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში. მიუხედავად სამთავრობო დონეზე არსებული მიზნების არსებობისა, საკანონმდებლო დონეზე ასახული და სამთავრობო გეგმებით გათვალისწინებული სიკეთეების და სტრატეგიების ეფექტური აღსრულება და იმპლემენტაცია ვერ ხერხდება და მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიურ ცხოვრებაში გაუმჯობესებისკენ ვერ ითარგმნება, რასაც ადასტურებს როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების და სახალხო დამცველის მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიშები, ასევე საერთაშორისო დამკვირვებლების და ორგანიზაციების შეფასებები. კოალიცია თანასწორობისთვის ჩრდილოვან ანგარიშში საუბარია არსებულ გამოწვევებზე, თუ რა არის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები. ერთ-ერთ მიზეზად კვლავ სახელდება ქალთა და კაცებს შორის არსებული უთანასწორობა და პატრიარქალური განწყობები. ასევე მაღალია ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდის შემთხვევები. ანგარიშში საუბარია რეგიონებში კიდევ უფრო რთულ ვითარებაზე როგორც გენდერული როლების გადანაწილების, ასევე ინფორმაციის და სერვისების ხელმისაწვდომობის, ქალებისთვის კარიერული და ეკონომიკური შესაძლებლობის გაძლიერების, უძრავი ქონების საკუთრების უფლების არ ქონის და პოლიციისადმი უნდობლობის გამო.²⁹ ანგარიშში ხაზგასმულია რომ, მიუხედავად საქართველოს მთავრობის მიერ ყოველ მეორე წელს სამოქმედო გეგმის განახლების დათქმის გაკეთებისა, ადგილობრივ დონეზე თვითმმართველობებს არ შეუძლებიათ საერთო მიდგომები ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობასთან დაკავშირებული გამკლავების პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ანგარიში ცალკე ქვეთავად საუბრობს დანაშაულის პრევენციაზე და გამოყოფს მთვარ პრობლემებს, ესენია: ერთიანი სეგრეგრირებული სტატისტიკური ინფორმაციის არ ქონა; პრევენციული ღონისძიებების და მსხვერპლთა და მოძალადეთა მხარდასაჭერი ეფექტური პროგრამების არ არსებობა; თემის ირგვლივ სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუციების კოორდინირებული ეროვნული მექანიზმის არ არსებობა; მედიის არასწორი როლი ამ პროცესში.³⁰

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა როგორც ზოგადად დანაშაულის პრევენციის კუთხით, ასევე სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან პრევენციის მიმართულებით ძალიან სუსტია. არ არსებობს დანაშაულის პრევენციის სახელმწიფო სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა. პოლიტიკის დოკუმენტების მიღმა დატოვებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის სპეციალური სტრატეგიაც. დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარება მეტწილად საპოლიციო ღონისძიებებით არის მოაზრებული და სხვა მიმართულებით არსებული პოლიტიკა და სტრატეგიები ზოგადი ხასიათისაა და ვერ პასუხობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს, მაშინ როდესაც პრევენციის პოლიტიკის შეფასება მისი არსიდან და მრავალშრიანი განზომილებიდან გამომდინარე სხვადასხვა უწყებების სტრატეგიების და პოლიტიკის განხილვას და გაანალიზებას უნდა ექვემდებარებოდეს.

2021-2024 წლის სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს კრიმინალური პოლიციის რეფორმის გაგრძელებას, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. რეფორმის ფარგლებში იგეგმება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის გაძლიერება, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა. სამოქმედო გეგმა მოიცავს ასევე ზოგად ჩანაწერს, რის მიხედვითაც დაინერგება დანაშაულის პრევენციაზე მიმართული მიდგომები,

²⁹ ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/files/gallery/diskriminacia/GREVIO.pdf?fbclid=IwAR2IC_8Y57RC5BaObLJTkej2uC5rQM1WGAaugqcFWG1Ymrlt7Dwrvjkrlo
³⁰ იქვე

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი³¹, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, თუ რა მექანიზმებით და ინსტრუმენტებით მოხდება აღნიშნული მოდელის დანერგვა.

სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს მიერ სუსტი პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ, ასევე მითითებულია, რომ მსხვერპლთა მხარდასაჭერი სერვისები შემუშავებულია ჰეტერონორმატიული თვალსაწიერიდან და ლგბტ თემის წარმომადგენლები ფაქტიურად ვერ ახერხებენ ამ სერვისებით სარგებლობას.³² დამოუკიდებელი ექსპერტი დეტალურად განიხილავს სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მრავალ დადებით ნაბიჯთან ერთად, მკაცრად იქნა შეფასებული დისკრიმინაციის გავრცელებული პრაქტიკის თვალსაზრისით არსებული სერიოზული გამოწვევები, შრომის, სერვისის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ნაწილში.³³

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ სამოქმედო გეგმის სპეციალურ თავში საუბარია ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების და განხორციელების შესახებ, თუმცა ახალი სტრატეგია დღემდე არ არის დამტკიცებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 26 მარტის ნომერ 42 ბრძანების „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ მოიაზრებს მართლწესრიგის ოფიცრის მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას იდენტიფიცირებულ მიზნობრივ ჯგუფებთან, ასევე ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით სოციალურ სამსახურებთან, სკოლებთან, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან ან/და სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობას და სახელმწიფო უწყებებთან და პოლიციის სხვა დანაყოფებთან მჭიდრო თანამშრომლობას დანაშაულისა და სამართალდარღვევის პრევენციისათვის სხვადასხვა სახის პროგრამების, ინიციატივებისა და ღონისძიებების დაგეგმვასთან და კავშირებით;³⁴ მის ფუნქციებში ასევე შედის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შემდეგი ვალდებულებები: ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ადმინისტრაციული რეაგირება; შემაკავებელი, აგრეთვე იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის გამოცემა და ორდერით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგი; ძალადობის რისკის შეფასების მექანიზმის დანერგვა-განხორციელება; პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინება მის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების ან გაქცევის შესახებ.³⁵

აღსანიშნავია, რომ მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობა მხოლოდ თბილისის მასშტაბით არის გათვალისწინებული და ჩაღრმავებულ ინტერვიუებში საუბრისას ექსპერტების აზრით მათი

³¹ ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf

³² ხელმისაწვდომია: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G19/139/35/PDF/G1913935.pdf?OpenElement>

³³ ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-05/2022042914343766642.pdf>, გვ.14

³⁴ ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4110989?publication=0>

³⁵ იქვე

რესურსი მწირია და არაა საკმარისი, მხოლოდ ცენტრზეა გათვლილი და რეგიონებს არ ითვალისწინებს. ამას გარდა მართლწესრიგის ოფიცერის ინსტიტუტთან დაკავშირებით არ არის შემუშავებული მათი შეფასების ეფექტიანობის მექანიზმი.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის მეორე მიზანი ეხება ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ეფექტიანობის ზრდას, კერძოდ აღნიშნული მიზნის 2.3 ამოცანა ეთმობა ქალთა მიმართ ძალადობას, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივ დანაშაულებს, ხოლო 2.6 ამოცანა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს. ორივე ამოცანა პრევენციის კუთხით სუსტია, ერთადერთი ჩანაწერი, რომელიც პრევენციას ეხება, დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას ითვალისწინებს, ხოლო 2.3 ამოცანა კი მოიცავს ჩანაწერს „მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის კვლევა“-ის შესახებ. აღნიშნული კვლევა შეისწავლის სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკისა და განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობას. შეფასდება, თუ რამდენად მიიღწევა დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზნები მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის პირობებში; წარმოადგენს თუ არა მოძალადის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება, დაპატიმრება ანდა მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ძალადობის შემცირების (რეციდივის თავიდან აცილების) ქმედით მექანიზმს; არის თუ არა სისხლის სამართლის პოლიტიკა მიმართული მოძალადის დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლისკენ, ემსახურება თუ არა მსხვერპლის დაცვას და რამდენად არის მიღწეული აღნიშნული მიზნები.

დანაშაულის პრევენციის სფეროში სამართალდამცავი სისტემის გამოკვეთილი როლი კიდევ უფრო შესამჩნევია პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით, რომელიც სამართალდამცავებს რიგი საპოლიციო პრევენციული უფლებამოსილებით აღჭურავს. კანონის თანახმად, პოლიციის მთავარ ფუნქციას საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგისთვის საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველყოფა წარმოადგენს.³⁶ კანონი პრევენციული მიზნებისთვის ასევე ითვალისწინებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას რიგითი პოლიციელების მიერ, რაც შეუძლებელია მიმართული იყოს დანაშაულების ზოგადი პრევენციისაკენ, ვინაიდან ფოკუსირდება მხოლოდ გარკვეულ გარემოებებზე, ეჭვებსა და ფაქტებზე. აღნიშნული მიდგომა დანაშაულის პრევენციისადმი, კერძოდ საპოლიციო ინსტრუმენტებისა და ოპერატიულ-სამძებრო მექანიზმების გადაცემა სამართალდამცავი სისტემისთვის ნათლად აჩვენებს პრევენციული ღონისძიებების რეპრესიულ ბუნებას და პრევენციის ვიწრო ჭრილში დანახვისა და განხორციელების პოლიტიკას.

არსებული დოკუმენტების მიმოხილვა აჩვენებს, რომ დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის ფუნქციას ფაქტიურად სრულად სამართალდამცავი ორგანო ითავსებს და მიზნის მისაღწევად მხოლოდ პრევენციული საპოლიციო ღონისძიებებით ცდილობს. სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა გადანაწილებული იყოს სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის, რამაც უნდა გამორიცხოს სამართალდამცავი ორგანოს ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია და სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკის ცალმხრივად განხორციელება. სახელმწიფოს არ აქვს შემუშავებული დანაშაულის პრევენციისადმი მეცნიერული მიდგომები, კვლევებზე და ანალიზზე

³⁶ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=32>

დაფუძნებული მუშაობის პრაქტიკა, ასევე არ არსებობს მექანიზმი, რომელიც შესაბამისი სპეციალისტების, ადამიანის უფლებების, თუ სხვა რელევანტურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს მისცემს შესაძლებლობას პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით წამოაყენონ ინიციატივები, რასაც მომავალში დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობა ექნებოდა. სახელმწიფოს არ აქვს ასევე დანაშაულის მიზეზებისა და მათი თავიდან აცილების გრძელვადიანი მექანიზმები და მიზნები, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სოციალურ ცვლილებებზე, თანასწორი საზოგადოების მშენებლობის იდეაზე. სწორედ ამ იდეებზე უნდა იყოს ორიენტირებული სახელმწიფოს სამოქმედო გეგმაც.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საპოლიციო პრევენცია ფოკუსირდება არა დანაშაულის მიზეზებსა და მათ აღმოფხვრაზე, არამედ უპირისპირდება ინდივიდებს და დანაშაულის მყისიერი აღმოფხვრის ლოგიკაზე დგას, რაც განპირობებულია ერთი მხრივ დანაშაულის პრევენციის ზოგადი არსის უფლებელყოფით და მეორე მხრივ სამართალდამცავი ორგანოების ხელში ძალაუფლების სრული კონცენტრაციით. ამას გარდა ცხადად იკვეთება სახელმწიფოს ნების არ ქონა დანაშაულის პრევენციაზე სიღრმისეულად მუშაობაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში რეალური შედეგების მიღწევითვის. ამას ადასტურებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით როგორც სამოქმედო გეგმის, ასევე სტრატეგიის, ან კონცეფციის არ ქონა. პოლიტიკის სისუსტეზე მიუთითებს ასევე ფემიციდის მაღალი მაჩვენებელი, ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მოსაზრებით, გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის - „ფემიციდის“ ყოველწლიური შემთხვევები აჩვენებს სახელმწიფოს მხრიდან პრევენციულ ღონისძიებებზე ორიენტირებული პოლიტიკის სისუსტეს.³⁷

შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენების პრაქტიკა

ქალთა მიმართ შესაძლო ან მოსალოდენლი ძალადობის თავიდან ასაცილებლად, დამცავი და შემაკავებელი ორდერები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ძალადობის პრევენციისათვის. დამცავი და შემაკავებელი ორდერების ეფექტიანობას განაპირობებს რისკების სწორად შეფასება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის N81 ბრძანებით დაინერგა რისკების შეფასების ინსტრუმენტი.³⁸ ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაწილე რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში მათი გამოყენება დაკავშირებულია პოლიციელების მხრიდან შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების (განსაკუთრებით რეგიონებში) არ ქონასთან, ერთი მხრივ სწორად შეაფასონ რისკი, ხოლო მეორე მხრივ სრულყოფილად შეავსონ აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისად პრაქტიკაში არ ხდება რისკების შეფასების დოკუმენტის ეფექტიანად გამოყენება, რაც რეალურად წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვან ელემენტს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებულ 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში ფემიციდის შესახებ, გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მოძალდეების მიმართ გამოყენებული იყო შემაკავებელი ორდერი³⁹, რაც მიუთითებს არსებული პრევენციული ზომების არაეფექტიანობაზე, ვინაიდან ვერ ხერხდება სათანადოდ რისკების შეფასება და მძიმე შედეგების თავიდან აცილება.

³⁷ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022, გვ.5

³⁸ „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის N81 ბრძანება

³⁹ ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021061415064722095.pdf>

პრობლემატურია ასევე სასამართლოების მიერ შემაკავებელი ორდერების გაუქმების წლიური მაღალი მაჩვენებელი. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ყოველწლიურად შემაკავებელი ორდერების დაახლოებით 60% უქმდება. არსებული გარემოება აჩენს კითხვებს, რამდენად სრულყოფილად იკვლევს სასამართლო შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძვლებს და რა გარემოებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას ორდერის გაუქმების ან ძალაში დატოვების თაობაზე, ასევე რამდენად საფუძვლიანი და დასაბუთებულია შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ პოლიციის თანამშრომლის გადაწყვეტილება და ხდება თუ არა მათ მიერ ორდერის გამოცემის საფუძვლიანობის შესახებ სასამართლოსთვის სათანადო არგუმენტების წარდგენა.⁴⁰

2020 წლიდან ამოქმედდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ელექტრონული მექანიზმი, რომელიც არის შემაკავებელი ორდერის აღსრულების ინსტრუმენტი და წარმოადგენს დამატებით დამცავ მექანიზმს ძალადობის პრევენციისთვის. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის როგორც მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია ძალადობის განმეორების რეალური საფრთხის არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად ახალი მექანიზმის ამუშავებისა, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად ელექტრონული სამაჯურის გამოყენების მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე 9376 შემაკავებელი ორდერი, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის ფაქტებზე 744 შემაკავებელი ორდერი გამოიცა. აქედან ელექტრონული ზედამხედველობა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მხოლოდ 14 პირის, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის ფაქტზე 1 პირის მიმართ დაწესდა. სახალხო დამცველის შეფასებით, სამართალდამცავმა უწყებებმა, უპირველეს ყოვლისა, სათანადოდ უნდა შეაფასონ ქალის მიმართ ან ოჯახში ძალადობის განმეორების რისკი. ამასთანავე, სახელმწიფოს ვალდებულებაა როგორც დაზარალებული ქალების ინფორმირება ხსენებული რისკის შესახებ, ისე მათი ცნობადობის ამაღლება ელექტრონული სამაჯურების გამოყენების მიზნების და სარგებლიანობის შესახებ, ასევე მათი დარწმუნება - ითანამშრომლონ სამართალდამცავ უწყებებთან.⁴¹

დანაშაულის პრევენციისათვის უწყებებს შორის კოორდინაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

არსებული კანონმდებლობით, დანაშაულთან ბრძოლის პასუხისმგებლობა ძირითადად პროკურატურას და საგამომიებო ორგანოებს შორის არის გადანაწილებული გარდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციისა, პროკურატურას აქვს ვალდებულება კოორდინაცია გაუწიოს⁴² დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთის და თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის, კრიმინოლოგიური ვითარების გაუმჯობესების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ უწყება ვალდებულია, იმუშაოს პრევენციის და კრიმინოგენული

⁴⁰ თემატური მოკვლევის ანგარიში, საქართველოს პარლამენტი, 2022, გვ.43

⁴¹ ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2022050510285580108.pdf>, გვ.15-16

⁴² საქართველოს პროკურატურის შესახებ კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი

ვითარების გაუმჯობესების მიმართულებით, პროკურატურის საქმიანობა, მათი სტრატეგია, უმეტესწილად უკვე დამდგარ დანაშაულზე ეფექტიან რეაგირებას მიემართება. ნაკლები ყურადღება ეთმობა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კვლევას და მასზე უწყებათა ერთობლივ, ურთიერთშეთანხმებულ რეაგირებას. ამაზე მეტყველებს სისტემაში მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტები და სახელმძღვანელო სტრატეგიები.⁴³ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას საქართველოს პროკურატურის შესახებ კანონის 28-ე მუხლის მეორე ნაწილს, რომლის თანახმადაც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. ამ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია საქართველოს მთავრობას.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია მისი მრავალწახნაგოვანი ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროებს სხვადასხვა უწყებებს და ინსტიტუტებს შორის ეფექტურ კოორდინაციას. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით არ არსებობს ერთიანი დოკუმენტი, რომელიც ერთი მხრივ განსაზღვრავდა პროცესში ჩართულ აქტორებს, ხოლო მეორე მხრივ დაარეგულირებდა მათ შორის კოორდინაციას და განსაზღვრავდა მაკოორდინირებელ ორგანოს, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა და შეაფასებდა უწყებების ერთობლივ მუშაობას. კოორდინაციის არარსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რის შედეგადაც ირღვევა ჯაჭვი შედეგზე გასასვლელად. განსაკუთრებული როლი პრევენციის ნაწილში ენიჭება განათლების სამინისტროს ცნობიერების ამაღლების, საგანმანათლებლო სისტემაში გენდერულ და უმცირესობებზე მორგებული თანასწორობის პრონციპის დანერგვას, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ პასიურია ამ პროცესში. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში მონიტორინგის შედეგად გაესაუბრნენ თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში მყოფ ქალებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით. გამოკითხული მსხვერპლების უმრავლესობა მიუთითებს საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებაზე. ისინი ამბობენ, რომ პრობლემის წინაშე მართლები დარჩნენ, მხარდამჭერები არ ჰყავდათ, და ამის გამო თავშესაფარში განთავსება მოუწიათ.⁴⁴

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები საზოგადოების განწყობებს ააშკარავებს და ბოლო შვიდი წლის განმავლობაში არსებული პროგრესის მიუხედავად, კვლავ გამოავლენს გენდერულ ჰეტერონორმატიულ სტერეოტიპებს და თანასწორობასთან დაკავშირებული ცნობიერების დაბალ დონეს. ევროსაბჭოს კვლევის თანახმად, 2018-დან 2021 წლამდე თვალშისაცემად უმნიშვნელოდაა შეცვლილი მოსახლეობის დამოკიდებულება და ცოდნა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ კანონმდებლობაზე. ამ მხრივ, საზოგადოების ცნობიერება და განწყობები 2018 და 2021 წლების გამოკითხვებში ერთ დონეზე დარჩა, თუმცა პროცენტულად გაიზარდა იმ მოსახლეობის წილი, ვინც თვლის, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში.⁴⁵

ISSA-ს მიერ ჩატარებული 2020 წლის კვლევა კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში ააშკარავს საზოგადოებაში არსებულ დამოკიდებულებებს და აღქმებს. 2019 წელს გამოკითხულ ქალების 63%, ხოლო კაცების 54% პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში

⁴³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დანაშაულის და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში, 2021, გვ.23

⁴⁴ ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf>, გვ.9

⁴⁵ ევროსაბჭო, 2022, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში, გვ.43

გენდერული თანასწორობა ჯერ არ არის მიღწეული.⁴⁶ კვლევის თანახმად კვლავ ნარჩუნდება უთანასწორო დამოკიდებულებები კაცებსა და ქალებს შორის, რაც სხვადასხვა სფეროში ვლინდება. კვლევის თანახმად, ხშირია ქალზე ეკონომიკური ძალადობა კაცის მხრიდან, ამგვარი გამოცდილების შესახებ ყოველი მეხუთე ქალი აცხადებს, ხოლო ყოველი მესამე კაცი ასეთი ქმედების ჩადენას ადასტურებს. დაახლოებით ყოველ მეოთხე ქალს განუცდია პარტნიორისგან ემოციური ძალადობა, კაცების თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საკითხია.⁴⁷ კვლავ პრობლემატურია საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობები, როგორც კაცებში, ასევე ქალებში. გამოკითხულ კაცთა 81% აცხადებს, რომ არასდროს ეყოლება ჰომოსექსუალი მეგობარი, ქალთა 54% იგივეს ამბობს.⁴⁸ რაც ღრმად გამჯდარ ჰომოფობიურ განწყობებზე მიუთითებს. რაც შეეხება ვიზის 2022 წლის კვლევას - წინარწმენიდან თანასწორობამდე-ს თანახმად, კვლევის შედეგად ამოსული ინფორმაცია ბევრ ნიშნულში ფაქტიურად იმეორებს წინარე კვლევას, თუმცა ქალებისა და ახალგაზრდების რესპოდენტების ხარჯზე შეინიშნება ჰომოფობიური განწყობების კლების ტენდენცია.⁴⁹ მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს საზოგადოებასთან ცნობიერების ამაღლების, სწორი კამპანიების წარმოებაზე და პროაქტიულად მუშაობის აუცილებლობაზე, სადაც წამყვანი როლი სამართალდმაცავ ორგანიზაციებთან ერთად განათლების სამინისტროს და მედიას უნდა მიენიჭოს. საქართველოს შესახებ ანგარიშში, ECRI საგანგებოდ მიუთითებს ქვეყანაში გავრცელებულ ჰომოფობიურ დისკრიმინაციასა და ძალადობის მაღალ მაჩვენებელზე და სახელმწიფოს მოუწოდებს, „გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება [ლგბტ პირთა მიმართ] ძალადობის აღმოფხვრისკენ მიმართული დეპარტამენტის შექმნაში. ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად“.⁵⁰ მნიშვნელოვანია განათლების სამინისტრომ გაიაზროს მისი როლი ამ პროცესში და სკოლებსა და უნივერსიტეტებში გენდერულ თანასწორობაზე და ინტერკულტურულ პრინციპებზე დაყრდნობით ეფექტურად მოახდინოს აღნიშნული ელემენტების და ცოდნის ჩაშენება სასწავლო დაწესებულებებში. მნიშვნელოვანია ასეთი მიდგომების შემუშავებისას დანაშაულის სპეციფიკის და დანაშაულის პრევენციის პრიზმიდანაც იქნას დანახული საკითხი.

დიდი როლი აქვთ ასევე თვითმმართველობებს, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეგიონებში სასჯელაღსრულების თანამშრომელებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება და მართლწესრიგის ოფიცერის ინსტიტუტის დანერგვა, მათი შეფასების შესაძლებლობის მექანიზმის გათვალისწინებით. სწორედ ყველა ჩამოთვლილი უწყებების კოორდინაციით და ჰოლისტური მიდგომით არის შესაძლებელი პრევენციის დანერგვა, რომელიც ამჟამად მხოლოდ რეაქტიულია, კარცერულ ლოგიკაზე დგას და ვერ პასუხობს ქალთა და ლგბტ ადამიანების წინაშე მდგომ საფრთხეებს და საჭიროებებს.

საინტერესოა საერთაშორისო გამოცდილება კოორდინაციის კუთხით. ამერიკაში ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად შეიმუშავებულ იქნა კოორდინაციის შესახებ დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც დაინერგა ერთიანი სტრატეგია დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ამერიკის სხვადასხვა შტატში. აღნიშნული კოორდინაციის მოდელი გამოყენებულ იქნა რამდენიმე

⁴⁶ ხელმისაწვდომია: <https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/unfpa-research-geo.pdf>, გვ.14

⁴⁷ იქვე, გვ.5

⁴⁸ იქვე, გვ.18

⁴⁹ ხელმისაწვდომია: <https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG-From-Prejudice-to-Equality-2022-GEO.pdf>

⁵⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, გვ.15

ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის გაერთიანებულ სამეფოში და ლათინო-ამერიკულ ქვეყნებში. ის ეფუძნება ლოგიკას, რომლის მიხედვითაც ისეთი აქტორები როგორებიცაა სახელმწიფო ინსტიტუტები, კერძოდ პოლიცია, სასამართლო, ჯანდაცვის სამინისტრო, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივი კოორდინაციით შეიმუშავენ ძალადობის წინააღმდეგ საპრევენციო პოლიტიკებს, რაც განმტკიცებულია საკანონმდებლო აქტით, რომელსაც ამერიკაში ამტკიცებს კონგრესი. აღნიშნული მექანიზმი მიმართულია არსებული პოლიტიკების და პრაქტიკების გაუმჯობესებისკენ და პრევენციული ღონისძიებებისკენ როგორცაა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ შეხედულებების შეცვლა, მსხვერპლებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და უფრო მკაცრი და ეფექტური პოლიტიკის შემუშავება მოძალადეების ქცევის აღსაკეთად, აგრეთვე მოძალადეების მყისიერ ჩართვას სარეაბილიტაციო პროგრამებში. პრევენციის ნაწილში ცნობიერების ამაღლების და სოციალური ნორმების შესაცვლელად მიზნით ჩართულები არიან როგორც განათლების ორგანოები, ასევე მედია. პროგრამაში ჩართულები არიან ასევე სპეციალიზირებული პრობაციის ოფიცრები.⁵¹

პენიტენციური პოლიტიკის როლი დანაშაულების პრევენციაში

მოძალადის რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია მესამე დონის პრევენციას წარმოადგენს და მოიცავს ისეთ სამიზნე ჯგუფს, რომლებიც უკვე იმყოფებიან მართლმსაჯულების სისტემაში და მიზნად ისახავს დანაშაულის განმეორების, რეციდივის თავიდან აცილებას. მათ გარკვეულწილად უკვე ჩამოყალიბებული აქვთ კრიმინალური ქცევა და მათთან გამოსაყენებელია მნიშვნელოვანი ინტერვენციები. საქართველოში არსებული პრაქტიკით და მიდგომებით, მოძალადეებთან მუშაობა იწყება მხოლოდ მსჯავრდებულობის ან პრობაციონერობის სახით მოხვედრის შემდეგ. მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამები არსებობს როგორც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, ისე პრობაციის სისტემაში. სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში ხორციელდება ძალადობრივი ქცევის შემცირებისკენ მიმართული სარეაბილიტაციო პროგრამები, რა დროსაც გამოყენებულია მულტიდისციპლინური მიდგომა და პირობით მსჯავრდებულის/თავისუფლება შეზღუდული პირის ინდივიდუალური რისკების შეფასების საფუძველზე ხდება როგორც ინდივიდუალურ/ჯგუფური ფსიქოსოციალური ინტერვენცია, ასევე საინფორმაციო ხასიათის ტრენინგების შეთავაზება. პენიტენციურ უწყებაში მოქმედებს ქცევის კორექციის ესპანური მოდელის პროგრამა, რომელიც ექსპერტების და სახალხო დამცველის 2018-2019 ანგარიშების მიხედვით საკმაოდ ფრაგმენტულია და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.^{52, 53}

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და პრობაციის სისტემაში არსებული პროგრამები მორგებულია მხოლოდ მეუღლეზე/პარტნიორზე მოძალადე პირებზე. მიზანშეწონილია, აგრეთვე, არსებობდეს ცალკეულ ძალადობაზე, სპეციფიკური დანაშაულის ჩამდენ პირთა ქცევის

⁵¹ Post, Lori & Klevens, Joanne & Maxwell, Christopher & Shelley, Gene & Ingram, Eben. (2009). An Examination of Whether Coordinated Community Responses Affect Intimate Partner Violence. Journal of interpersonal violence. გვ. 75-93

⁵² ხელმისაწვდომია: 2018 ანგარიში <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

⁵³ ხელმისაწვდომია: 2019 ანგარიში <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf>

თავისებურებებზე, მორგებული პროგრამები, მაგ., სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირებზე.⁵⁴ რაც შეეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის სისტემაში არსებულ პროგრამებს, იგი გათვალისწინებულია მხოლოდ ძალადობის განმეორების მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით (ოჯახში ძალადობა) მსჯავრდებულ პირთა უმრავლესობა ამ პროგრამით ვერ სარგებლობს, რაც გავლენას ახდენს პენიტენციურ დაწესებულებებში მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამების ეფექტიანობაზე.⁵⁵ ასევე, მოძალადეთა ქცევის კორექციის პროგრამები არ მოიცავს ერთი და იმავე სქესის წყვილებში ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის საკითხებს. ამას გარდა, ამ პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხები არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქცევის კორექციის პროგრამები მორგებული იყოს ლგბტქ ადამიანების საჭიროებებზე. პრობლემას წარმოადგენს მოძალადეებისათვის ამ პროგრამაში მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათი, რის შედეგადაც ბენეფიციართა რაოდენობა საკმაოდ დაბალია. 2019 წლის 20 სექტემბერს, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დამცავი ორდერი უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას. თუმცა, გამოწვევაა იმ მოძალადეთათვის ქცევის კორექციის პროგრამების ხელმისაწვდომობა, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი. ასევე, არ არის განსაზღვრული შესაბამისი ერთეული/უწყება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებისთვის მიწოდებას.⁵⁶

როგორც უკვე აღინიშნა, პრობლემატურია ასევე აღნიშნული პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმის არ არსებობა, რის გამოც შეუძლებელია საუბარი, თუ როგორ მუშაობს აღნიშნული პროგრამა და რა დადებითი, თუ უარყოფითი შედეგები აქვს მის დანერგვას პრაქტიკაში. კვლევაში მონაწილე რესპოდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ მართებული იქნებოდა მსგავს პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა ყოფილიყო შემაკავებელი ორდერის გამოცემის პარალელურად, რათა დამატებითი პრევენციული ღონისძიება გამოყენებულიყო დანაშაულის რეციდივის, თუ უფრო მძიმე დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. საგულისხმოა ასევე, რომ პირის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, მათზე არ ხორციელდება მონიტორინგი, საკმარისია მოძალადემ დატოვოს სასჯელსრულების დაწესებულება და სახელმწიფოს მასზე აღარ ფლობს ინფორმაციას მისი შემდგომი ქცევის შესახებ.

რაც შეეხება დანაშაულის რეციდივს, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის სააგენტოში ბენეფიციარების წინაშე შეთავაზებული პროგრამების ეფექტურობის შეფასება და რეციდივის შესახებ სტატისტიკის წარმორება არ ხდება (ჩაღრმავებული ინტერვიუ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსთან), შესაბამისად შეუძლებელია გრძელვადიანი შედეგის გაზომვა და პროგრამების შესახებ სიღრმისეული ანალიზის გაკეთება, თუმცა თავად ფაქტი ეფექტურობის შეფასების ინსტრუმენტის არარსებობისა, საკმარისი მოცემულობაა მნიშვნელოვანი ხარვეზიანობის დასადგენად.

⁵⁴ თემატური მოკვლევის ანგარიში, საქართველოს პარლამენტი, 2022, გვ. 64

⁵⁵ იქვე

⁵⁶ იქვე, გვ.66

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, საკითხის შესწავლის ფარგლებში გამოიკვეთა მიგნებები, რომლებიც მიუთითებს პრობაციის სისტემაში ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ხელმისაწვდომობის შეზღუდულობაზე, სიმწირე ვლინდება ასევე გეორგაფიული განფენილობის თვალსაზრისითაც. სახეზეა პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დატვირთულობის მაღალი მაჩვენებელი და პრობაციის სისტემაში აშკარა დისპროპორციაა ერთი მხრივ, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების, მეორე მხრივ, პრობაციის ოფიცრების წარმომადგენლობის მასშტაბებს შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რაც პრობაციის სისტემაში ზრუნვისა და მხარდაჭერის მიდგომების ფაქტობრივ დეფიციტზე მიუთითებს; პრობაციონერების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში, შეზღუდულია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობა, წამყვანი როლი კი პრობაციის ოფიცრს აქვს მინიჭებული. ნიშანდობლივია, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რესურსების არსებული განაწილება არ ეფუძნება კონკრეტულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს, რაც არსებითაა მისი მუშაობის ეფექტიანობის შეფასებისთვის; კვლევაში შესწავლილია ბენეფიციარის ჩართულობის დონე, მისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში, რომელიც იკვეთება რომ არის მინიმალიზებული. მას ასევე არ აქვს შესაძლებლობა თავად მოითხოვოს მისი სოციალური მდგომარეობის და პიროვნული მახასიათებლების (დინამიკური ფაქტორების) სიღრმისეული შესწავლა და შეფასება. აღსანიშნია, რომ პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით, ყოფილი პატიმრებისგან განსხვავებით, ნაკლებად კონკრეტულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვალდებულებები სოციალური მხარდაჭერისა და გაძლიერების მომსახურებების მიწოდების ნაწილში და მცირეა იმ ყოფილი პატიმრების რიცხვი, ვინც შესაბამისი დახმარებისთვის პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიმართა, რაც სააგენტოს მხრიდან მეტი ინფორმირებისა და ძალისხმევის გაწევის აუცილებლობაზე მიუთითებს. ამას გარდა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არ მიმდინარეობს აქტიური კვლევითი საქმიანობა, პირობით მსჯავრდებულთა სოციალური მახასიათებლების ანალიზისა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკების შემუშავებისთვის.⁵⁷

ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისები და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების მნიშვნელობა

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია ითვალისწინებს ძალადობა გამოვლილი ქალების მხარდასაჭერ პროგრამებს უფრო ფართო სტრატეგიის ფარგლებში და კონვენციის ხელმძღვრ მხარეებს ავალდებულებს ინვესტირება გააკეთონ ოჯახში მოძალადე და სექსუალურ ნიადაგზე მოძალადე პირების პროგრამებში. სტამბოლის კონვენციის მესამე და მეოთხე თავები მოიცავს დანაშაულის პრევენციის და მსხვერპლთა მხარდაჭერის ფარგლებში სახელმწიფოს ვალდებულებებს და ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლის უსაფრთხოებაზე, მხარდაჭერაზე, ძალადობის განმეორების თავიდან აცილებაზე, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და შესაძლებლობების გაფართოებაზე.⁵⁸

⁵⁷ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით

⁵⁸ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს სერვისის მიღების წინაპირობად მსხვერპლის სტატუსის მიღების ვალდებულება, რაც წინააღმდეგობაში მოდის სტამბოლის კონვენციის 18-ე მუხლის მეოთხე პუნქტთან, სადაც არსებული ჩანაწერი ამბობს, რომ მომსახურების გაწევა არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე ბრალი წაუყენოს ან ჩვენება მისცეს ძალადობის აქტის ჩამდენი პირის წინააღმდეგ.⁵⁹ არსებულ ბარიერზე საუბარი ასევე CEDAW კომიტეტის საქართველოს VI ანგარიშში, რომლის თანახმადაც მსხვერპლის სტატუსის აუცილებლობა სერვისის მისაღებად გაუქმებას უნდა დაექვემდებაროს და სერვისის მიღების შესაძლებლობა აღნიშნული დათქმის მიუხედავად გახადოს ხელმისაწვდომი.⁶⁰

საქართველოში ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად ფუნქციონირებს თავშესაფრები (რაოდენობა - ხუთი) და კრიზისული ცენტრები (ასევე ხუთი), რომლებიც უზრუნველყოფენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს ფსიქო-სოციალური დახმარებით, ჯანდაცვის მომსახურებით, იურიდიული კონსულტაციით და დასაქმების ხელშესაწყობად პროფესიული გადამზადების ტრენინგებით. არსებული სტატისტიკით თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების სარგებლობის მსურველ ბენეფიციართა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.⁶¹

2020 წლის სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მიმოხილულია 2019 და 2020 წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და გამოწვევები. მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა სახალხო დამცველის 2018 წლის ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებით უზრუნველყოფის საკითხს, რაც გასულ წლებში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო.⁶² პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში კვლავ გამოწვევად რჩება მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შეთავაზება. რამდენიმე თავშესაფარსა და კრიზისულ ცენტრში შეინიშნება სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების კადრების რაოდენობის ნაკლებობა. აღნიშნულის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის დროს თავად ცენტრის თანამშრომლებმა ისაუბრეს, მიზეზად კი მიმართვიანობის ზრდა დაასახელეს. არსებითია მსხვერპლის მხარდაჭერის ნაწილში სწორად იქნას დანახული სოციალური მუშაკის როლი და მნიშვნელობა. კვლევის ჩაღრმავებულ ინტერვიუებში რესპოდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სოციალური მუშაკების როლი სახელმწიფოს მიერ არასწორად არის დანახული, მათი ჩართულობა ვერ უძლებს კრიტიკას და რესურსი სრულიად არასაკმარისია. ისინი აღნიშნავენ, რომ სოც-მუშაკების სამუშაო დროის დიდი ნაწილი მიაქვს ბიუროკრატიულ პროცედურებს და მათ რეალურ და მთავარ ფუნქციისთვის დრო ფაქტიურად აღარ რჩება, როგორც ფიზიკური, ისე ემოციური, მაშინ როდესაც ძალადობა გამოვლილ პირებთან მუშაობის სპეციფიკა განსაკუთრებულ ჩართულობას, მოთვინებას და ტრავმა-ინფორმირებული პრაქტიკის განხორციელებას საჭიროებს. ტრავმა-

⁵⁹ იქვე

⁶⁰ ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/3936326>, 2021, გვ.3

⁶¹ ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/tematuri-mokvleva/genderuli/dzaladoba/angarishi.pdf?fbclid=IwAR1acw1vQrTrf-5hnx-41CTLJefwNmzeYdGebpzZlvrSusBSsJuPlxIzU>, გვ.54

⁶² ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf>, გვ.5

ინფორმირებული სერვისები და პოლიტიკა გულისხმობს ტრავმის როლის გათვალისწინებას და მასთან დაკავშირებული პრობლემების დანერგვას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკულ დონეზე.⁶³ იგი ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლების ემოციურ მოწყვლადობას და განმეორებით ტრავმატიზაციის თავიდან აცილებას. ტრავმა-ინფორმირებული სერვისების უმთავრესი პრობლემა არის უსაფრთხოება, რაც პირველ რიგში გულისხმობს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცულობის განცდას სერვისის მიღების ყველა ეტაპზე, მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ნდობის მოპოვება და გახსნილობის შენარჩუნება, რაც მიიღწევა მსხვერპლების ინფორმირებულობით სერვისების არსის, კონფიდენციალურობის კრიტერიუმის და მსხვერპლისადმი მოლოდინების შესახებ, მესამე პრინციპი გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას და თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია მსხვერპლს ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შეგრძნების შესაძლებლობა და გადაწყვეტილებები მიიღებოდეს მასთან ერთად. ბოლო პრინციპი ეხება გაძლიერების კომპონენტს, რაც გულისხმობს მსხვერპლების თვითმყოფადობის რწმენის აღდგენას. ტრავმა-ინფორმირებული პრინციპების გატარება სერვისების დონეზე საჭიროებს კადრების შესაბამის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ადეკვატურ დატვირთვას და რესურსებით უზრუნველყოფას, რათა მათ ჰქონდეთ მსხვერპლებთან მუშაობისას ზემოაღნიშნული პრინციპების გასათვალისწინებლად საჭირო პროფესიული და პიროვნული რესურსი.⁶⁴

განსაკუთრებულ პრობლემად რჩება ასევე ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების შეზღუდული რაოდენობა. პრობლემად რჩება ასევე, ბენეფიციართა მხარდაჭერა და დახმარება თავშესაფრის დატოვების შემდეგ, შესაბამისი პროგრამების მწირი რაოდენობის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი არარსებობის გამო.⁶⁵ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა შემთხვევების მართვა. თავშესაფრების ადმინისტრაციის ინფორმაციით, მომატებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბენეფიციართა რიცხვი და ადმინისტრაციას უჭირს შემთხვევებთან გამკლავება.⁶⁶ პრობლემატურია ასევე თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების გეოგრაფიული განფენილობის საკითხიც და ამ მხრივ მისი ხელმისაწვდომობა, რიგ შემთხვევებში ქალებს მათი რეგიონის გარეთ არსებული თავშესაფრებისთვის და კრიზისული ცენტრებისთვის მიმართვა უჭირთ და ამიტომ მნიშვნელოვანია გეოგრაფიული არეალი რეგიონების მხრივ მეტად გაფართოვდეს.

ბენეფიციარებთან გასაუბრებისას, მონიტორინგის ფარგლებში ძირითადად გამოვლინდა ფსიქოლოგიური, სექსუალური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის გამოცდილება. ასევე მიუთითებს ადევნების და მუქარის ფაქტების შესახებ. ჩაღრმავებული ინტერვიუს ფარგლებში, რესპოდენტების მიერ ხაზგასმულ იქნა ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების როლის შესახებ და გამოვლინდა საჭიროება მათი მეტად გააქტიურების და გარკვეული პასუხისმგებლობების აღების. მხარდაჭერ ღონისძიებებთან დაკავშირებით თვითმმართველობის დონეზე არაერთგვაროვანი პრაქტიკაა, არსებობენ მუნიციპალიტეტები, რომლებიც გასცემენ თანხებს დასახმარებლად, მაგალითად ბინის საქირავებლად, მაგრამ არსებობენ ისეთი მუნიციპალიტეტებიც, სადაც მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს. აღნიშნული

⁶³ Levenson J., Trauma-Informed Social Work Practice. Soc Work. 2017 Apr 1;62(2):105-113.

⁶⁴ Bowen EA, Murshid NS. Trauma-Informed Social Policy: A Conceptual Framework for Policy Analysis and Advocacy. Am J Public Health. 2016 Feb;106(2): 223-9.

⁶⁵ ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf>, გვ.5

⁶⁶ იქვე, გვ.8

განსხვავებული მიდგომები კიდევ ერთხელ მიუთითებს სახელმწიფო დონეზე ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრის მნიშვნელობას და საჭიროებას.

მსხვერპლების თქმით, თავშესაფარი რომ არ არსებობდეს, ფიზიკურად ვერ გადარჩებოდნენ და ისევ ძალადობრივ გარემოში ან ქუჩაში მოუწევდათ ცხოვრება. შესაბამისად, თავშესაფრების სერვისები ძალადობის მსხვერპლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.⁶⁷ თუმცა ვინაიდან აღნიშნული ცენტრებით სარგებლობა მხოლოდ დროებითაა შესაძლებელი (სამი თვე), არსებითაა სახელმწიფოს მიერ პოლიტიკის შემუშავებისას, მიდგომები გათვლილი იყოს ქალთა გაძლიერებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

თავშესაფრებთან დაკავშირებით ხაზავსმით უნდა აღინიშნოს, რომ ლგბტ+ თემისათვის ამ სერვისებით სარგებლობა მრავალ ბარიერთან არის დაკავშირებული და საფრთხის შემცველია, სახალხო დამცველის 2021 წლის დოკუმენტით ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებით ირკვევა, რომ თემის წევრებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფის მთელი ტვირთი მათზე გადადის, რაც გულისხმობს დონორ ორგანიზაციათა მხარდაჭერით თემის წევრებისთვის ბინის ქირით დროებით უზრუნველყოფას.⁶⁸

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხი მნიშვნელოვანია დავინახოთ არა მხოლოდ როგორც მსხვერპლის სოციალური სერვისის ფარგლებში დროებითი დახმარების შემადგენელ ნაწილად, არამედ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენციის წამყვან წინაპირობად. ქალთა ჩაგვრას ხშირად სწორედ კაცზე ეკონომიკური დამოკიდებულების სარჩული უდევს საფუძვლად, რაც ასევე განმაპირობებელი და განმსაზღვრელი ფაქტორია ძალადობისგან ვერ დაღწევის ნაწილში, ამიტომ აუცილებელია მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა ჩაგვრის აღმოფხვრის და თანასწორობის მიღწევის ფუნდამენტურ გზად განვიხილოთ. ქალთა მიმართ ძალადობის და მათ ეკონომიკურ მოწყვლადობას შორის მიზეზშედეგობრიობის და ძალადობისგან ვერ დაღწევის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად დასადასტურებლად თეორიულ ლიტერატურაში იყენებენ *მატერიალური დამოკიდებულების თეორიას*, რომელიც ამტკიცებს, რომ ქალები, რომლებიც არიან ფინანსურად დამოკიდებულები თავიანთ ქმრებზე ან პარტნიორებზე, არიან მეტად მოწყვლადები ძალადობის მიმართ და ვერ ახერხებენ მისგან დაღწევას.⁶⁹

ეკონომიკური ფემინისტური თეორია ასაბუთებს, რომ ქალისადმი ძალადობა დაკავშირებულია „კოოპერაციულ კონფლიქტთან“, რაც გულისხმობს მატერიალური რესურსების მქონე კაცის მიერ მისი ძალაუფლების გამოყენების ტენდენციას მაგალითად ბავშვთან მიმართებით, რის გამოც ქალი იძულებული ხდება მოითვინოს ძალადობა სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ არ გააჩნია საცხოვრებელი და სხვა რესურსი საკუთარი თავის და ბავშვის სარჩენად. ამიტომ სახელმწიფო

⁶⁷ იქვე

⁶⁸ სახალხო დამცველი, 2021, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, გვ.52

⁶⁹ Campo, I & Steinert, J (2022) The Effect of Female Economic Empowerment Interventions on the Risk of Intimate Partner Violence: A Systematic Review and Meta-Analysis. Trauma Violence Abuse. Jul;23(3):810-826.

პოლიტიკების შეფასებისას არსებითაა გაანალიზდეს აძლევს თუ არა სახელმწიფო ქალს ეკონომიკურად საშუალებას დააღწიოს თავი ძალადობისგან.⁷⁰

სახელმწიფოებს გააჩნიათ პოზიტიური ვალდებულება ოჯახში ძალადობის შესახებ კანონებმა და პოლიტიკებმა ხელმისაწვდომი გახადონ არსებითი რესურსები, როგორცაა: საცხოვრებელი, ფული და საკვები, ან არაპირდაპირი გზებით გაზარდონ მათზე წვდომა, მაგალითად უზრუნველყონ ბაზარზე მორგებული პროფესიული გადამზადების ტრენინგები და დასაქმების ხელშეწყობა, ბავშვზე მზრუნველობა და სხვა.⁷¹

საქართველოს პარლამენტის 2022 წლის თემატურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასაკმარისი ფინანსური დამოუკიდებლობის პირობებში ხშირად დაზარალებული იძულებულია მოძალადის მიმართ გამოხატოს შემწყნარებლური და ლოიალური დამოკიდებულება მართლმსაჯულების პროცესში.⁷² მატერიალური რესურსების ნაკლებობა იძულებულს ხდის ქალებს მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც რესურსების არსებობის შემთხვევაში არ იქნებოდა ექსკლუზიური. შესაბამისად რესურსები აუცილებელია, რომ მათ მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მათი ინდივიდუალური სურვილებისა და გარემოებებიდან გამომდინარე. არასაკმარისი მატერიალური რესურსები, ან რესურსების არ არსებობა კი ქალებს აიძულებს მიიღონ სარისკო გადაწყვეტილებები მოძალადესთან არაჯანსაღი ურთიერთობის შენარჩუნებით, ამიტომ მნიშვნელოვანია ქალების გაძლიერება იყოს გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი და მატერიალურად აძლევდეს დამოუკიდებლად არსებობის საშუალებას.

საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული პოლიტიკა პრობლემატურია, მისი არათანმიმდევრული ხასიათის, ინდივიდუალურ საჭიროებებზე ვერ მორგების და სიმწირის გამო. მსხვერპლი ქალების უმეტესობა საშუალო ან არასრული საშუალო განათლების მქონეა და არც რაიმე სახის ქონება ან შემოსავალი გააჩნიათ. სახალხო დამცველის ანგარიშში საუბარია თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების გამოკითხულ ბენეფიციარებზე, რომლებიც პირდაპირ საუბრობენ ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე კაცების მოძალადეების მიმართ, როგორც ძალადობის სისტემატურად თმენის მთავარ ფაქტორზე. შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციართა უმეტესობა თავშესაფარში ძალადობასთან ერთად, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამოც მოხვდა, მათ უმეტესწილად არ აქვთ შემოსავალი, მათ სახელზე არც რაიმე სახის უძრავი ქონებაა რეგისტრირებული. შესაბამისად, იმ პირებისთვის, ვინც ძალადობას თავი დააღწია, თავშესაფარში განთავსება და სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.⁷³ კვლავ პრობლემად რჩება მსხვერპლთა უსაფრთხოების გრძელვადიანი დაცვა. რამდენიმე მსხვერპლმა სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული მონიტორინგისას აღნიშნა, რომ თავს დაცულად არ გრძნობს და ემინია, რომ თავშესაფრის დატოვების შემდეგ, მათზე ისევ იძალადებენ. მათი აზრით, მოძალადის მხოლოდ სასჯელადსრულების დაწესებულებაში განთავსება საკმარისი არ არის. ბენეფიციარები ყურადღებას ამახვილებენ მოძალადეთა ქცევის კორექციის საჭიროებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფიქრობენ, რომ მოძალადე პირები საპატიმრო დაწესებულების დატოვების შემდეგ, მათთვის კვლავ საფრთხის მატარებლები იქნებიან.⁷⁴

⁷⁰ Heise, L. (2011). What works to prevent partner violence? An evidence overview. გვ.56-58

⁷¹ Coker, D. (2000) Shifting power for battered women: Law, Material resources and poor women of color, 33 U.C. Davis L. Rev. 1009

⁷² თემატური მოკვლევის ანგარიში, საქართველოს პარლამენტი, 2022, გვ.58

⁷³ ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf>, გვ.10

⁷⁴ იქვე

თავშესაფრებში მოხვედრილი ქალები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიან და დასაქმებას განსაკუთრებული როლი ენიჭება მათ გასაძლიერებლად. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით ბენეფიციარებს თავშესაფარი სთავაზობს გადამზადების სხვადასხვა შესაძლებლობას და ხელს უწყობს მათ დასაქმებას. თავშესაფარი Worknet-ის პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობს როგორც სოციალურ სამსახურთან, ისე, პირადი კონტაქტების გამოყენებით, ბენეფიციარების შესაძლებლობის და უნარების მიხედვით, ცდილობს კერძო სექტორში ვაკანსიების მოძიებას. თავშესაფარი ახერხებს ზოგიერთი ბენეფიციარის გადამზადებას და დასაქმებას (ძირითადად მომსახურების სფეროში), თუმცა ეს საკითხი, რაც შემთხვევებში, კვლავ პრობლემად რჩება. კერძოდ, მონიტორინგისას გამოვლინდა, რომ თავშესაფრებში ბენეფიციარებს ჰყოფენ შესაძლებლობების მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი თავად არ არის მონდომებული და განათლების მიღების, თუ დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვს, თავშესაფარი არ მიმართავს ძალისხმევას მათი მოტივაციის ასამაღლებლად და გასაძლიერებლად, რაც ცალსახად არასწორი პრაქტიკაა.⁷⁵ ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ არის შემთხვევები, როდესაც ერთმა და იმავე ბენეფიციარმა თავშესაფრით რამდენჯერმე ისარგებლა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავშესაფრის სერვისით განმეორებით სარგებლობა სწორედ არასათანადო რეაბილიტაციას უკავშირდება.⁷⁶

ქვეყანაში არსებული გადამზადების პროგრამები არ არის ანაზღაურებადი, რაც წარმოქმნის მთელ რიგ პრობლემებს, ვინაიდან ხშირად ქალებს ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, არ აქვთ შესაძლებლობა დატოვონ ისინი და არც შემოსავალი აქვთ აღნიშნულის განსახორციელებლად, მაგალითად ძიძის ასაყვანად. მნიშვნელოვანია გადამზადების პროგრამის პარალელურად სახელმწიფო ითვალისწინებდეს დედების საჭიროებებს და ბავშვზე ზრუნვის სერვისიც მიზნული იქნეს აღნიშნულ გადამზადების პროგრამაზე, ან თავად პროგრამა იყოს ანაზღაურებადი, რაც ქალებისთვის პროფესიული გადამზადების შესაძლებლობის და მოტივაციის გამჩენი ფაქტორი იქნება. კრიტიკა არსებობს თვით პროგრამასთან დაკავშირებითაც, ვინაიდან ის დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზეა გათვლილი, რაც ნაკლებ მოტივაციას უჩენს ქალებს, და ამას გარდა პროგრამით გათვალისწინებულ პორტალზე დარეგისტრირებულ სამსახურის მაძიებელ ბენეფიციართა 80% ვერ დასაქმდა.⁷⁷ ასევე, ხშირად მშობლების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები თავს იკავებენ სამართალდამცავი უწყებებისათვის მიმართვისაგან, რადგან მოძალადე მშობლები უზრუნველყოფენ მათ სწავლის საფასურის დაფინანსებით. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სწავლის საფასურის გადახდაში სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამების არსებობის საკითხი, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ლგბტქ ადამიანების შემთხვევაში.⁷⁸

CEDAW კომიტეტის საქართველოს VI ანგარიშის ერთ თავში, რომელიც გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობას ეთმობა, გაცემულია რეკომანდაცია ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ კომპენსაციის გაცემის⁷⁹ აუცილებლობაზე, რაც ზემოთ განხილულ საჭიროებებთან ერთად დამატებითი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა რეპარაციის ნაწილში, თუმცა მას არ განვიხილავთ

⁷⁵ ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020122316265153175.pdf>, გვ.22

⁷⁶ იქვე

⁷⁷ თემატური მოკვლევის ანგარიში, საქართველოს პარლამენტი, 2022, გვ.61

⁷⁸ იქვე

⁷⁹ ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/3936326>, გვ.3

ქალებისთვის ძალადობისაგან თავის დაღწევის, გრძელვადიან პერსპექტივაში გაძლიერების და პრობლემის მოგვარების და აღმოფხვრის საშუალებად.

შეჯამება

ამდენად აშკარაა, რომ საქართველოში გენდერული ძალადობის პრაქტიკის ეფექტიანი პრევენციისთვის არსებითია ამ დანაშაულების სტრუქტურული მიზეზების გადააზრება და სწორედ მათ პასუხად მრავალდონიანი პოლიტიკის დაგეგმვა, რომელიც კონკრეტულ დანაშაულებზე მყისიერი სამართლებრივი რეაგირების მიღმა, საზოგადოებაში და სისტემაში სისტემურ ტრანსფორმაციებს შეუწყოს ხელს და ქალთა გაძლიერებაზე მიმართულ გრძელვადიან და მდგრად სამუშაოებს მოიცავს. ეს სამუშაოები უკავშირდება როგორც მსხვერპლის გაძლიერების დროებით ღონისძიებებს, ისე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებს, პენიტენციალური სამსახურების აქტიურ როლს მოძალადის ტრანსფორმაციის პროცესში და კიდევ უფრო ფართედ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნებს საზოგადოებაში. სამწუხაროდ, ქალთა მიმართ ძალადობასთან გამკლავების პოლიტიკაში არსებული პოზიტიური ინსტიტუციური და პრაქტიკული ძვრების მიუხედავად, ამ დანაშაულების სტრუქტურული ანალიზი და მასზე დაფუძნებული გრძელვადიანი პოლიტიკა ქვეყანაში არ გვაქვს, რაც ქალთა მიმართ ძალადობის ჯაჭვს არ წყვეტს და ქალებს ყოველდღიური ძალადობისა და ჩაგვრის რეალობისთვის წირავს.